განმარტებითი ბარათი

ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი ალ. ყაზბეგის გამზირი №34-ში (ნაკვეთი №01.14.03.042.144) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ანგარიში.

ქალაქმშენებლობითი პირობების თანახმად, საპროექტო ტერიტორია საქმის წარმოების დასაწყისისთვის მიეკუთვნებოდა საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ საქმიან ზონას (შზ) ქალაქმშენებლობითი პარამეტრებით კ1=0.7; კ2=3.0 და კ3=0.1

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის "სპეციალური ზონალური ნებართვების მარეგულირებელი საბჭოს 2013 წლის 22 აგვისტოს №33 სხდომის ოქმის თანახმად ქ. თბილისის მერის 10.09.13 №866604 ბრძანებით, ჩვენს ნაკვეთს განვითარებისათვის მიენიჭა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2=4.7 პროექტი შეთანხმებულია კ2=4.3 კოეფიციენტით.

ვინაიდან საპროექტო ნაკვეთს 20% -იანი შეღავათით ნასარგებლები აქვს ზონალური შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი თანხა იანგარიშება შემდეგი ფორმულით

$$X=L/K_2\,(K_2^{I}-K_2^{II})S$$

L--ტერიტორიის ნორმატიული ფასია და დღეს შეადგენს 170 ლარს.

K_2=3.0 (განსაზღვრული ქალაქმშენებლობითი პირობები)

K_2^{I}=4.7 (კორექტირებული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მოხედვით).

K_2^{I}=4.3 (შეთანხმებული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით).

S=2709 მ^2 (ტერიტორიის ფართი).

X=170/3.0(4.7-4.3)2709=61404 ლარი

თანხა სრულად დაფარული იქნება მსენებლობის ნებართვის გაცემიდან მე-12 თვეს. არა უგვიანეს 2014 წლის ოქტომბრისა.

შ.პ.ს. "ჯეოესტი"-ს დირექტორი: მ. ძუჩულორია

08.10.2013

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 27.08.1283

„ 31 „ ოქტომბერი

2013 წ.

შპს „ჯეოესტის“ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდისაგან სრულად გათავისუფლების და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ

2013 წლის 18 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიას №07/95567–13 განცხადებით მომართა შპს „ჯეოესტის“ . დირექტორმა მალხაზ ქუჩულორიამ და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის გადასახდელი მოსაკრებლის გადახდისაგან სრულად გათავისუფლება და მასთან დაკავშირებით შესაბამისი შეთანხმების დადება. თავის მხრივ, შპს „ჯეოესტი“ იღებს ვალდებულებას, რომ შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე არაუგვიანეს 2014 წლის 17 იანვრისა, განცხადებას წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს და შენობა–ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ქალაქ თბილისის მთავრობამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის 16.05.2008 წლის №330 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდისაგან სრულად გათავისუფლების და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების საკითხი და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის 17^2 მუხლის, ასევე „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 19.09.2013 წ. №24.02.1078 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „ჯეოესტი“ სრულად გაათავისუფლოს მოსაკრებლის გადახდისაგან და დადოს შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 19.09.2013 წ. №24.02.1078 დადგენილების და „სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 30 ივლისის №19.13.721 დადგენილების შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს შპს „ჯეოესტის“ განცხადება ქალაქ თბილისის მერის 16.05.2008 წლის #330 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი

განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

2. დადებულ იქნეს შპს „ჯეოესტ“–თან შეთანხმება შემდეგი პირობებით:
ქალაქ თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს შპს „ჯეოესტის“ გათავისუფლებას ქალაქ თბილისის მერის 16.05.2008 წლის #330 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდისაგან, ხოლო შეთანხმების განხორციელების მიზნით, შპს–მ უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2014 წლის 17 იანვრისა, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნების დაკმაყოფილება.

შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში შეთანხმება გაუქმდება და შპს–ს დაეკისრება ვალდებულება, შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს ქალაქ თბილისის მერის 16.05.2008 წლის #330 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებელი.

3. შეთანხმებაზე ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით, ხელმოწერა დაევალოს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელს გიორგი გოგოლაშვილს.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის მოადგილეს დავით ნინიძეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე

საგადახდო დავალება N 78

2009 წლის 17 დეკემბერი

ID - 440829018

გადამხდელის დასახელება შპს "ჯეოესტი", 220374235

გადამხდელის ბანკი: პროკრედიტ ბანკი - ქუთაისის ფილიალი

ანგარიში (დებეტი): 301467214

ბანკის კოდი: 220101929

თანხა

20,000.00

ივსება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდების დროს

გადასახადის გადამხდელის დასახელება შპს "ჯეოესტი"

თანხა სიტყვებით

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 220374235

ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი 300773191

ოცი ათასი ლარი 00 თეთრი

მიმღების დასახელება ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო შემოსულობები/თბილისი)

მიმღების ბანკი: ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"

ანგარიში (კრედიტი): 200122900

ბანკის კოდი: 220101222

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გადახდის დანიშნულება : კოეფიციენტის მოსაკრებელი

ხელმოწერა

დამატებითი ინფორმაცია:

შტამპის ადგილი

ხელმოწერები:

ბ.ა.

საგადახდო დავალება N30
"30" დეკემბერი 2009 წელი

რეფერენსი
5856075

გადამხდელის დასახელება: შ.პ.ს. "ჯეოსტი"

ანგარიში (დებეტი) 226787100
(ძველი ანგ)

თანხა
20000-00

გადამხდელის ბანკი:
ქ.თბილისი, სს "ხაქ. ბანკი" (ცენტრალური ფილიალი)

ბანკის კოდი
220101502

თანხა სიტყვებით
ოცი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შ.პ.ს. "ჯეოსტი"

საიდენტ. კოდი 220374235

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

ანგარიშისახაზინო კოდი 300773191
(კრედიტი)

ბანკის აღნიშვნა 04 -11- 2013

მიმღების ბანკი:
ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"

ბანკის კოდი
220101222

ბანკში შემოსვლის თარიღი: 30.12.09

გატარებულია ბანკის მიერ: 30.12.09

გადახდის დანიშნულება: კოეფიციენტის მოსაკრებელი

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

დამატებითი ინფორმაცია: 206160606

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი _____ ბ.ა.

მთ. ბუღალტერი _____

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
260 BAGAGE22